ქონების შეფასება. აუდიტი.
Mirza & Co
საქართველო
ქონების შეფასება
აუდიტი
შ.პ.ს. "მირზა და კომპანია"
- ქონების შეფასება
- აუდიტი
- ბიზნეს კონსულტაციები
- ბიზნესის შეფასება
- საბუღალტრო მომსახურება
- ბიზნესის რეგისტრაცია
- ადვოკატი (599 97 20 86)
26 00 83 (ოფისი); (+995) 574 94 74 94
ქ. ოზურგეთი, 9 აპრილის ქ. № 20
(რ)

ანსამბლ „გურიას“ რეზონანსული ტურნე რუსეთის ფედერაციაში

ალიონი. ოზურგეთელები, – და არა მხოლოდ ოზურგეთელები, – ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯუმბერ დუნდუას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლ „გურიას“ (დირექტორი ნათია დუნდუა) წარმატებებით, საბედნიეროდ, განებივრებულები ვართ. ამ ბოლოს კი რუსეთის ფედერაციაში, სულ ქართული როკვით განფენილი ერთთვიანი გასტროლით, ანსამბლმა კიდევ ერთი გაუხუნარი ფურცლით შეავსო თავისი რეზონანსული ისტორია.

საგასტროლო ტურნე დაგეგმა და სრული ფინანსური უზრუნველყოფა გასწია კომპანიამ „ასკანელი ძმები“, კომპანიის პრეზიდენტის, ბატონი გოჩა ჩხაიძის ინიციატივით.

კრასნოდარი, სოჭი, ბალაკოვო, უფა, სტერლიტამაკი, ორენბურგი, ორსკი, ულიანოვსკი, პეტროზავოდსკი, სანკპეტერბურგი, ნიჟნი-ნოვგოროდი – ეს ის ქალაქებია, სადაც სრული ანშლაგით მიმდინარეობდა „გურიას“ კონცერტები. ინტერესი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ, 14 კონცერტის გამართვის მიუხედავად, ბევრმა ვერ შეძლო, დამტკბარიყო ოზურ-

გვ-2

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. №16 (10106), 20 აპრილი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

წელს ოზურგეთში 5 105 ჰექტარი მიწის ფართობი დამუშავდება

ალიონი. წელს ოზურგეთში 5 105 ჰექტარი მიწის ფართობი დამუშავდება

ამის შესახებ „ალიონის“ კორესპონდენტს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრის მთავარი სპეციალისტი **ომარ ჩხარტიშვილი** ესაუბრა.

–„მიმდინარე წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბებსა და სოფლებში გათვალისწინებულია დაიხნას სავარაუდოდ 5 105 ჰექტარი მიწის ფართობი. მთლიანად ჩვენი სახნავ-სათესი შეადგენს 5 739 ჰექტარს. მცირე მიწიან ფერმერთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია 4 150 ჰექტარის დამუშავება, კერძოდ დახვნა. ფერმერებმა უკვე მიიღეს 11 226 ხვნის ბარათი რაც იმას ნიშნავს რომ აღნიშნული ოჯახები, ფიზიკური და იურიდიული პირები ამ ბარათებს გამოიყენებენ ნიადაგის დამუშავებისათვის. გარდა აღნიშნულისა მცირე მიწიან ფერმერებს მიღებულ აგრო ბარათზე დაერიცხებათ ქულები რომლითაც შეძლებენ მინერალური სასუქის, შხამქიმიკატებისა და სათესლე მასალის შეძენას.

დღეისათვის ოზურგეთში მუშაობს, პროგრამაში ჩართულია 16 კონტრაქტორი მექანიზატორი, ინდმეწარმე მყავს მხედველობაში, შპს მექანიზატორი. რომელთა განკარგულებაშიც 80 ერთეული სახნავი ტექნიკაა. თუ კლიმატურმა პირობებმა ხელი არ შეგვიშალა აღნიშნული ტექნიკა სრულიად საკმარისია იმისათვის რომ ხვნა-თესვის პროცესი ჩვენს მუნიციპალიტეტში აგროვადებში და ხარისხიანად ჩატარდეს.

– წინა გუბერნატორის პერიოდში აქტიურად განიხილებოდა მელიორაციის საკითხი. რა მდგომარეობაა დღეს ამ კუთხით?

–ვიცით, რომ წინა წლებში შესრულდა გარკვეული სამუშაო. ამასთან ისიც ცნობილია, რომ შესრულებული სამუშაოები ხარვეზებით ხასიათდება. საჭიროა ამ ხარვეზების გამოსწორება. მიმდინარე წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ჯერ-ჯერობით მხოლოდ 80 000 ლარის სამუშაოები. მიმდინარე წელი მაქვს მხედველობაში.

სახალხო დამცველი ოზურგეთში

ალიონი. გასულ პარასკევს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ოზურგეთის დემო-კრატიული ჩართულობის ცენტრში საჯარო სამსახურების, აიპების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ჩვენ ამ შეხვედრის შესახებ მოგვიანებით, შემთხვევით გავიგეთ.

სახალხო დამცველს შეკრებილი საზოგადოებიდან აინტერესებდა რა ხდება ქალაქსა და სოფლებში, სხვადასხვა სფეროებში არსებული სიტუაციები.

ისიც გავიგეთ, რომ სახალხო დამცველი მომავალი წლიდან ოზურგეთში მათი წარმომადგენლობის გახსნას გეგმავს.

–„ ჩვენი ინფორმაციით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესწავლა იმ კონკრეტული ინფორმაციების და რეკომენდაციების, რომელიც არის ასახული ჩვენს საპარლამენტო ანგარიშში. იმედი მაქვს ჩვენი ანგარიშის განხილვა მაისიდან დაიწყება. შესაბამისად ჩვენ მზად ვართ ყველა უწყებასთან გავიაროთ ის პრობლემები და იმ პრობლემებზე გვქონდეს საუბარი, რომელიც ანგარიშში არის ასახული".– აღნიშნა სახალხო დამცველმა მის მიერ გაკეთებულ 900-გვერდიანი ანგარიშის შესახებ შეხვედრაზე.

დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის დირექტორი სპარტაკ გოგიტიძე, მას შემდეგ ავიწროებს სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრს ამირან შავაძეს, რაც მან სკოლის დირექტორის არჩევნებზე მას ხმა არ მისცა. ამირან შავაძის შვილები ნინო (VII კლასი), ნათია (VI კლასი), ნანა (V კლასი), თამაზი (I კლასი) 23 მარტის შემდეგ სკოლაში არ დადიან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბავშვები მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან და მოსწავლეთა შემოწმედებით ოლიმპიადებზე მაღალ შედეგებს აღწევდნენ.

ამირან შავაძემ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა. იგი უყურადღებობაში ოზურგეთში შესაბამის სტრუქტურებს, მათ შორის სოციალურ სამსახურსაც ადანაშაულებს.

სახალხო დამცველის წარმომადგენლებს დაბა ნარუჯაში 17 წლის არასრულწლოვან გოგონას მიმართ განხორციელებულ ოჯახურ ძალადობაზეც ეცნობა. ამჟამად ოზურგეთის პოლიციის მიერ ოჯახის დედის მიმართ შემაკავებილი ორდერია გამოცემული.

***

უჩა ნანუაშვილი, გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში, გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელ, ქეთევან მოისწრაფეშვილს, ქ. ოზურგეთის მერს, ბეგლარ სიორიძეს, ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეებს: არჩილ ყაზაიშვილსა და გიორგი ღურჯუმელიძეს შეხვდა.

შეხვდრაზე, სახალხო დამცველი ყველა იმ პრობლემატურ საკითხებს შეეხო, რომელიც ოზურგეთში, როგორც ქალაქში, ასევე სოფლად - ინფრასტრუქტურისა და სოციალური კუთხით დგას. ბაღები , სკოლები, მრავალბინიანი სახლები, წყლისა და კანალიზაციის, ასევე გამრიცხველიანებისა და გაზიფიცირების საკითხები. ეს არასრული ჩამონათვალია იმ თემებისა, რომელზეც შეხვედრაზე ისაუბრეს. საკითხები დაისვა ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდანაც.

აღნიშნულ შეხვედრამდე სახალხო დამცველი, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მოსახლეობას შეხვდა. უჩა ნანუაშვილმა, მხარეში არსებული პრობლემები უშუალოდ საზოგადოებისგან მოისმინა.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ნატანებში თეა წულუკიანი იმყოფებოდა

ალიონი. გასულ პარასკევს სოფ. ნატანებში საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი იმყოფებოდა. მან „სოფლის სახლის“ სარემონტო სამუშაოები მოინახულა. მინისტრმა ნატანებში მცირე დრო დაჰყო.

წულუკიანის სტუმრობის შესახებ ადგილობრივი მედია ინფორმირებული არ იყო.

ანსამბლ „გურიას“ რეჭონანსული ტურნე რუსეთის ფედერაციაში

გეთელი მოცეკვავეების მიერ შესრულებული ეროვნული ცეკვებით. იმის გამო, რომ ტურნე დაგეგმილი იყო და კონცერტები გაწერილი, ვერ მოხერხდა დამატებითი კონცერტების გამართვა.

ანსამბლის ყოფილი ხელმძღვანელის, ქალაქ ოზურგეთის მერის მოადგილის, ბატონი კობა დუნდუას თქმით, რომელიც „გურიას“ თან ახლდა რუსეთის ფედერაციაში, ტურნე მიზნად ისახავდა ანსამბლის რეკლამირებას:

„ეს ტურნე მიზნად ისახავდა ანსამბლის რეკლამირებას, რაც შედგა კიდეც. სოჭსა და სანკტ-პეტერბურგში მოწვეული იყვნენ მაღალი დონის საპროდიუსერო კომპანიები, რომლებმაც ანსამბლთან თანამშრომლობისა და გასტროლების დაგეგმვის სურვილი გამოთქვეს. საზაფხულოდ იგეგმება ტურნე გერმანიაში, ჰოლანდიასა და საფრანგეთში, შემოდგომით – კარელიის რესპუბლიკაში. ყველაზე მეტად მაინც ზამთრის მოლოდინში ვართ, როცა საგასტროლოდ გავემგზავრებით კანადასა და აშშ-ში“.

ხსენებული ქალაქების მედიასაშუალებებში ანსამბლ „გურიას“ კონცერტები კულტურული ცხოვრების ყველაზე აქტუალურ თემად იქცა. სოჭში, კონცერტის დამთავრებოს შემდეგ, სცენაზე ავიდა ქართული დიასპორის თავმჯდომარე, რომელმაც განაცხადა, რომ კომუნიკაციისა და მეგობრული ურთიერთობის აღდგენა, უპირველესად, უნდა მოხდეს კულტურისა და სპორტის მეშვეობით.

ორსკში, კონცერტის დამთავრების შემდეგ ანსამბლს ორი ხატი გადასცა დეკანოზმა სერგი ბარანოვმა, თან იქადაგა ქართ-ულ-რუსულ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

როგორც კობა დუნდუამ თქვა, გასტროლები დასამახსოვრებელი იყო სიურპრიზებითაც:

„ორსკში, კონცერტის მიმდინარეობისას, სცენაზე მოულოდნელად აიჭრა უცნობი ქალბატონი და ჩვენს მეგარმონეებს თაიგული აჩუქა, ჩემი კოლეეგები არიანო, დააკვრევინა და იმღერა მათთან ერთად. ორენბურგში, კონცერტის დაწყებამდე სპეციალურად მოიყვანეს ბავშვი, რომელმაც, ჩვენს საპატივცემულოდ, შესანიშნავად შეასრულა ნინო ქათამაძის მიერ ინტერპრეტირებული „სულიკო“. სანკ-პეტერბურგში გამართულ კონცერტზე კი, სიტყვა ითხოვა იქ მოღვაწე ქორეოგრაფმა დავით ბულიამ, წარმოშობით აფხაზმა: „ამ ანსამბლმა შეძლო ეთქვა, როგორ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი. ეს მე არ მიკვირს, რადგან ვიცი, ვისი შექმნილიცაა ეს ანსამბლი. ბედნიერი კაცი ვარ, რომ მქონდა შესაძლებლობა, ბატონ ჯუმბერ დუნდუასთან ერთად მეცეკვა, ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ახლა აქ მისი შვილის გვერდით ვდგავარ. დღევანდელი აპლოდიმენტები მოწმობს რომ დიდი ანსამბლია „გურია“, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო დიდი იქნება იგი ახლო მომავალში“, – გულში ჩამიკრა მამაჩემის კოლეგამ და მეგობარმა“.

ვულოცავთ „ანსამბლ „გურიას“ ამ უდიდეს წარმატებას და ვიმედოვნებთ, რომ ევროპულ და ამერიკულ ტურნეებში გამგზავრებამდე, ის მშობლიურ ქალაქშიც გამართავს კონცერტებს და თავისი მაღალი ხელოვნებით დაატკბობს ადგილობრივ მაყურებელს.

ეთერ თათარაიძე ნორჩ ფოლკლორისტებს გააქტიურებისკენ მოუწოდებს

ალიონი. გასულ ხუთშაბათს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის რეგიონულ წარმომადგენლობაში ქართული ფოლკლორის მიზნებსა და ამოცანებზე ლექცია წაიკითხა საქართველოს ფოლკლორის ცენტრის ხალხური ზეპირსიტყვიერების მიმართულების მთავარმა სპეციალისტმა, პოეტმა **ეთერ თათარაიძემ,** ხოლო მუსიკალურ მიმართულებებზე მუსიკოლოგმა **ნანა ვალიშვილმა.**

იქ შეკრებული საზოგადოება არ დაკმაყოფილდა მარტო ლექციით და ეთერ თათარაიძეს ლექსების კითხვის რეჟიმში მოუწია გამოსვლა და ოზურეთის რეგიონულ წარმომადგენლობასთან შექმნილი ხალხური სიმღერების შემსწავლელი სკოლის აღსაზ-რდელს ნოდიკო დონაძესაც მოუსმინა.

რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ავთანდილ სურგულაძემ აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები მოვალშიც არის გათვალისწინებული.

„გენდერული საუბრები“

ალიონი. 16 აპრილს ოზურგეთის გენდერის მედია ცენტრში გაიმართა „გენდერული საუბრები" რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები, ადგილობრივი ლიდერი ქალები.. ღონისძიების მიზანი იყო მოხდეს არჩევნებში ჩართული მხარეების, მათ შორის მოსახლეობის ინფორმირება გენდერული თანასწორობის და ქალთა პოლიტიკურად გაძლიერების მექანიზმების და მნიშვნელობის შესახებ.

ღონისძიება გაიმართა პროექტის „ერთად გენდერული თანასწორობისთვის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის" „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის" მხარდაჭერით.

„ქართული მარტო ენაა?“.

ალიონი. 15 აპრილს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის სამსახურის მიერ ორგანიზებული კონკურსის "ქართული მარტო ენაა?!" გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. კონკურსში მონაწილეობას ქალაქ ოზურგეთის სკოლების მოსწავლეები იღებდნენ. საბოლოოდ, 17 მონაწილიდან ჟიურიმ სამი საპრიზო ადგილისა და ნომინაციაში "ყველაზე ორიგინალური ნაშრომი" მფლობელები გამოავლინა. გამარჯვებული მოსწავლეები ქალაქის მერმა, ბეგი სიორიძემ, მერის მოადგილე, კობა დუნდუამ, ქალაქის საკრებულოს განათლების, კულტურის კომისიის თავმჯდომარე, ნინო ტაბატაძემ და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა, ლელა იმედაშვილმა საჩუქრებით და სიგელებით დაჯილდოვეს. ქალაქის შვიდივე სკოლას კი ბიბლიოთეკისთვის წიგნები გადაეცათ.

–„'ეს კონკურსი ცხადყოფს, რომ ქვეყანას ძალიან ნიჭიერი თაობა ეზრდება. სასიამოვნოა, რომ ქალაქის მერია და სკოლები ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. მუხედავად იმისა, რომ სკოლები განათლების სამინისტროს ექვემდებარებიან, ამით პასუხისმგებლობას არ ვიხსნით. პირიქით, ქალაქის მერიის თანადგომა სკოლას აუცილებლად ესაჭიროება" - აღნიშნა ბეგი სიორიძემ.

I ადგილი - თეა დედანაშვილი - III საჯარო სკოლა;

II ადგილი - მარიამ კილაბერია - წმინდა ნინოს სახელობის სამრევლო სკოლა

III ადგილი - ანუკი ტუმასიანი - III საჯარო სკოლა

ნომინაცია "ყველაზე ორიგინალური ნაშრომი"

ერეკლე ვახრამოვი - II საჯარო სკოლა

ცისია დოლიძე - II საჯარო სკოლა

დავით ბაკურაძემ ბაქოში გაიმარჯვა

15-16 აპრილს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. 63 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის აღსაზრდელი დავით ბაკურაძე (მწვრთნელები ზურაბ და ირაკლი ზურაბიანები).

მეცხოვნე-მამულიშვილის სიტყვა

თუ გაგყიდეს, „მამულო საყვარელო, შენ როსლა აყვავდები?! “

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველმა არ გავიარე, რაა მამული? წინაპართაგან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჭრიამული.“

კაცობრიობის ისტორიაში უთვალავია სახელმწიფოთა შორის სისხლიანი ომები, მიწების მიტაცება, დაპყრობა საკუთარი ტერიტორიების გაფართოების მიზნით. საუკუნეთა მანძილზე ამ ცეცხლოვან გარემოცვაში მყოფმა პატარა საქართველომ ყველაფერს გაუძლო, ყველაფერი გადაიტანა და დღესაც არსებობს. მაშინ, როცა უდიდესი სახელმწიფოები გადაშენდნენ, აღარ არსებობენ, საქართველო და ქართველი ერი არსებობს, ერი, რომელიც მუდამ თავდაცვით ომებში იყო, ომობდა, შრომობდა, იღვწოდა, აშენებდა და დაგვიტოვა გმირული ისტორია. ამავე დროს, უდიდესი თვითმყოფადი კულტურა შექმნა. ძველბერძენთა და რომაელთა კარგი წარმოდგენა საქართველოს შესახებ ადასტურებს მის სიდიადეს, რომელიც მითებში ცოცხლობს. საქართველოს კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის შეჰქონდა თავისი წვლილი და დღესაც შეაქვს. ის მტკიცე ნებისა და რწმენის, სიჩაუქის, მაღალი სულიერებისა და სიყვარულის, ტრადიციის მქონე და ჭირთა მომენი, შემომქმედი და ღირსების მატარებელი ერია. მე ასეთი ქართველი და საქართველო მიყვარს და არა ისეთი, წინა ხელისუფლებას რომ სურდა და ცდილობდა ერის გადაგვარებას, ანგრევდა და აპარტახებდა ყოველგვარ ეროვნულს, დანგრევის პირას მიიყვანა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია, მთელი რიგი ინსტიტუტები, საამყო თეატრი და კინოხელოვნება, სახელოვანი ქართული სპორტი და საერთოდ რასაც კი ეროვნული ერქვა. მათმა ყალბმა დემოკრატიამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათი საბოლოო სახე ცისის კედლებმა გამამყლავნა და წარმოაჩინა, ნაციონალურმა ხელისუფლებამ ქუთაისში მემორიალი ააფეთქა, სიმბოლური სავანე იმ ვაჟკაცებისა, რომლებმაც საშობლოსათვის სისხლი გაიღეს. ამ ამბავმა ქართველი ხალხის გულისწყრომა და პროტესტი გამოიწვია, მთელი კვირის მანძილზე უცხოური არხები ამ ვანდალიზმზე გადმოსცემდნენ. მაგრამ ამ დიდ ბოროტებას, რომელიც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა, არავინ იხსენებს და დღეები მიაქვს პარლამენტში კურიოზულ თემებზე საუბარს. როცა ერთი კვირა საუბრობენ მოსმენის გასაღებზე, თუ ვის უნდა ებაროს, მივხვდი, რომ პარლამენტი ამაზე არ იმსჯელებს. ამიტომ გადავწყვიტე, საზოგადოებას ვუთხრა, რომ მემორიალის აფეთქება იყო სახელმწიფოებრივი დანაშაული, ამ მემორიალის აფეთქების ჟინმა და სულსწრაფობამ შეიწირა ორი უდანაშაულო ადამიანი, ძეგლის აფეთქების თაობაზე დღევანდელ პარლამენტს სიტყვა არ დასცდენია, ეს ქმედება დღემდე არ შეუფასებია, მაშინ, როდესაც, მსოფლიომ იგი შეაფასა, როგორც ვანდალური ფაქტი!

სამარცხვინოა, როცა გაუგონარ დანაშაულს პარლამენტი დანაშაულად არ თვლის. დარწმუნებული ვარ, რომ შეფასებულიყო და თავისი სახელი დარქმოდა ამ სახელმწიფოს წინაშე ჩადენილ დანაშაულს, ვიღაც თავხედი ინვესტორი ვერ გაბედავდა უძველესი კულტურის ძეგლის - საყდრისის აფეთქებას და არც უყურადღებოდ დატოვებდნენ „ობიექტივის“ ეკრანიდან გაუთავებელ განცხადებებს, რომ ქართული კულტურის ნიმუშები იძარცვება, რის პასუხადაც მხოლოდ დუმილი იყო. ყველაფერი ეს მოწმობს ქართული კულტურისადმი სახელმწიფოს ზერელე დამოკიდებულებას, როცა საზოგადოება კულტურის მნიშვნელობის ცოდნას ხელისუფლებისაგან ვერ გრძნობს, ეს უკვე ტრაგედიაა.

სამარცხვინოა ის, რომ დღეს უმრავლესობაში მყოფმა დეპუტატებმა, ოპოზიციაში ყოფნის დროს ომში დაცემულ მებრძოლთა სხეულები ბრძოლის ველიდან გამოტანილი არ იყო. ამ საქციელმა მსოფლიო გააკვირვა, ჩვენ ეს არ გაგვკვირვებია, რადგან იმ დროს ქარაფშუტობას საზღვარი არ ჰქონდა, ჩვენ გვიკვირს დღევანდელი საქმიანობა, როცა უცხოეთში საქართველოს პარლამენტის დელეგაცია ძებნილ ექსპრეზიდენტთან ერთად იჯდა და არავის აღმოაჩნდა იმის ნება და ღირსება, რომ ეთქვა: **ჩვენი ქვეყანა ამ ადამიანს ეძებს, როგორც დანაშავეს, უხერხულად ვგრძნობ თავსო და დაეტოვებინა დარბაზი.** ძალიან საწყენია, იქ, სადაც უფრო კულტურა და ღირსება უნდა წარმოჩინდეს, წესისამებრ, იქაც დუმილს ამჯობინებენ. წინა ხელისუფლებამ საქართველოში საზღვრები გახსნა, რამაც საქართველო დიდი საფრთხის წინაშე დააყენა, თბილისში დავით აღმაშენებლის პროსპექტზე უეცრად გაჩნდა ყველაფერი თურქული. ამ მხრივ ბათუმი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. კახეთში ინდოელები გამოჩნდნენ, თბილისში მთელი ერთი უბანი ჩინელებმა „დაიპყრეს“ და ასე შემდეგ. გაიყიდა მიწები, აი, ეს ყველა დანაშაულთა შორის ყველაზე დიდ მზაკვრულ ბოროტებად მიმაჩნია; ხოლო ვინც ამ საქმეს დღესაც მხარს უჭერს და ცდილობს ამ მიწების გასხვისებას, პირდაპირ ვამბობ, მან აბსოლუტურად არ იცის საქართველოს ისტორია, ქართველი ერის არსებობის არსი. ეს ისეთივე ქარაფშუტული გადაწყვეტილებაა, როგორიც იყო რვა აგვისტოს დამარცხებული ომის გამარჯვებულად გამოცხადება. უდიდესი ტერიტორიების მქონე სახელმწიფოები, რომელსაც თვალუწვდენელი ტრამალები ახლავს, ერთ გოჯა მიწას არ ასხვისებენ, ჩვენ რატომ ვიწყებთ მიწის ყიდვა-გაყიდვას და გასხვისებას, იქნებ ჯერ მიტაცებული მიწების დაბრუნებაზე გვეფიქრა, ნახევარი საქართველო გასხვისებულია და რაც დარჩა, იმასაც ვასხვისებთ?! ამ მზაკვრულად შემოგდებულ კანონპროექტს რომ აშალაშინებთ, იქნებ არ ღირს მაგაზე ფიქრი, სანამ საკუთარ მიწებს არ დავიბრუნებთ. ამ პატარა ქვეყანაში, საქართველოში, სადაც არ უნდა დაარტყა ბარის წვერი, ჩაჩქანი, ჯაჭვის პერანგის ნაგლეჯი ან დაჟანგული ხმლის ვადა ამოვარდება. საქართველოში ყოველ ბორცვზე საყდრები და ეკლესიები დგას, ტაძრები და ციხე-კოშკები, რომლებითაც მოფენილია საქართველოს ტერიტორია, მსოფლიო მნიშვნელობის არქიტექტურული ძეგლებია, რომლებიც მყარად დგანან საუკუნეთა მანძილზე ქართულ მიწაზე და მოგვითხრობენ ამ მიწის ისტორიას.

მე ასეთი ქართველი და საქართველო მიყვარს და არა ისეთი, წინა ხელისუფლებას რომ სურდა და ცდილობდა ერის გადაგვარებას, ანგრევდა და აპარტახებდა ყოველგვარ ეროვნულს, დანგრევის პირას მიიყვანა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემია, მთელი რიგი ინსტიტუტები, საამაყო თეატრი და კინოხელოვნება, სახელოვანი ქართული სპორტი და საერთოდ, რასაც კი ეროვნული ერქვა.

მე არ მესმის, ქვეყანამ რატომ უნდა გაასხვისოს საკუთარი ისტორია, როგორ უნდა უარყოს ქართულ ნიადაგზე შობილი გენიალური პოეზია, დამწერლობა და საგალობლები, რომლებიც ქართულ მიწას უმღერიან. მიწას, რომელმაც ხუთასი ჯიში ვაზი ახარა; ქართველი კაცისათვის მიწის ბელტები რაღაც ფიზიკური მასა არ არის, იგი გაივივებულია დედა საშობლოსთასან, დედამიწა, დედასაშობლო. ქართველ კაცს გმირულ ისტორიასთან უწყვეტობამ განუმტკიცა დედასაშობლოს უზომო სიყვარული; გენიალურ გალაქტიონთან ლექსში „ნანა“ დედა უმღერის ჩვილს:

„რომ დაიცვას დანაშვენი ჩვენი მიწა და ნაშენი, ომში არის მამაშენი, ნანა-ნანინა..

ამ პატარა ტაეპში ყველაფერია ნათქვამი, რა სიღრმეებიდან მოდის მიწისადმი დამოკიდებულება, ნათლად ჩანს. ქართველი ემიგრანტები უცხოეთში უბის ჯიბეში ატარებდნენ ერთ მუჭა ქართულ მიწას და ეს იყო ნუგეში მშობლიურ მხარესთან სიახლოვისა.

აკაკის გენიალურ ლექსში „ვანთიადი“ ისმის მგოსნის ვედრება:

„დედაშვილობას, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმბარეო,
ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო საშობლო მხარეო...“

ღვთიური ძალა შესწევს ამ ორი სიტყვით თქმულ საშობლოს სიდიადეს და მშობლიურ მიწას, რომლის გასხვისებაზე საუბარიც კი ტანში მზარავს. მეტის თქმა ზედმეტი იქნება, ეს შეხსენებაც საკმარისია პარლამენტში მყოფი ჭეშმარიტი მოქალაქეებისათვის, რომლებისთვისაც ყველაფერი აქ ნათქვამი უცხო არაა და არც ახალია. როცა პარლამენტში გაიჟღერა დედის შეურაცხმყოფელმა სიტყვამ, ამან საშინელი რეაქცია გამოიწვია, გახსოვთ, მთელი პარლამენტი — უმრავლესობა თუ უმცირესობა ფეხზე დადგა იმიტომ, რომ დედა შეურაცხყვეს. ამიტომ მჯერა მე ამისა, რომ ამ მზაკვრულ არაეროვნულ კანონპროექტს, რომელიც დედასაშობლოს მიწების გასხვისებას ეხება, პარლამენტში მყოფი ჭეშმარიტი მოქალაქეები ჯეროვნად შეაფასებენ. და თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ უტყუარი იმედია ხალხი და ახალგაზრდობა, ახალგაზრდობა, რომელმაც როცა ქართულ ენას საფრთხე შეექმნა და სახელმწიფო ენად ქართულ ენას კრძალავდნენ, გადაარჩინა იგი; როცა გარეჯის მიდამოებში საბჭოთა ჯარის პოლიგონები არსებობდა, გარეჯი დანგრევისაგან ახალგაზრდობამ გადაარჩინა, პოლიგონი გაუქმებინა; მაშინ, როდესაც ცისის კედრები იხილა, ახალგაზრდობა ქუჩაში გამოვიდა და ამ შეუჩერებელმა ძალამ თავისი სათქმელი და გასაკეთებელი ბრწყინვალედ შეძლო; ამიტომ მჯერა, როცა ქართულ მიწებს გასხვისების საშიშროება ემუქრება, ახალგაზრდობა ამ მზაკვრულ პროექტს წინ აღუდგება და ქართული სისხლით გაჟღენთილ მიწას დაიცავს.

„შობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
გიცავდი და გიცავ მარად,
გიცავდი და კვლავ დაგიცავ...“

მერაბ ბერძენიშვილი,
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ №40, 2015 წელი.

ანბანთგოგონა



იყო და არა იყო რა, ანბანთგოგონაზე უკეთესი რა იქნებოდა. გოგონა ერთ წალკოტში ცხოვრობდა და ყველა მას ეთაყვანებოდა და აღმერთებდა, რადგან მისი ბადალი არ ენახათ. ოცდაცამეტი დობილ-ძმობილი ჰყავდა. მწვანეცურვილ ფოთლებზე და სხივოსან ყლორტებზე ჩამოუსხდებოდნენ. ჩიტუნები ათასნაირ საგალობლებს უთხზავდნენ ანბანთგოგონას დობილ-ძმობილებს, პეპლები ღვთიურ მადლს უგზავნიდნენ, მზეც კი, მათი სიყვარულით ჩვეულებრივზე ადრე ამოდიოდა და გვიანობამდე ელიცლიცებოდა. საღამოს ხის ტოტებზე ჩამწკრივდებოდნენ.

ანი -სიფრიფანა იყო, პირველობას მაინც არავის უთმობა. ბანი, განი, დონი ჯადოსნური სიტყვებით აბრუებდნენ ანის, ენი, ვინი და ზენი მომღიმარ გვირილებს ჰგავდნენ. თანი, ინი და კანი - ფრთხილები იყვნენ. ლასი, მანი და ნარი ცეტები გამოდგნენ, ონი, პარიიი, ჟანი —რაღა�აც ბეჩავები, ტარი, უნი და ფარი -ყველას გამშველებელი, ქანი, ღარი და ყარი —მუდამ მლოცველნი, შინი, ჩინი და ცანი - ხრიკიანები, ძილი და ჭარი დღენიადაგ თვლემდნენ, ხანი და ჯანი იბღვირებოდნენ, ხოლო ჰაე კი, ყველას ერთად იცავდა. ვაი, მისი ბრალი, ვინც ანბანთგოგონას დობილ-ძმობილებს წაეტანებოდა.

ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა მათი იდუმალი მეგობრობა, რომ არა ქარი, საძაგელი, დაუნდობელი, ფაფარაყრილი ქარი..

„ვაითუ, ფესვებს მოგლიჯონ, ვაითუ გააქრონ, ვაითუ მოსაკლავად გაიმეტონ“

... და გარბის თავგამეტებით ანბანთგოგონა, ცეცხლისფერი ენები ხასხასა ფოთლებს ლოკავენ, სისხლი წვეთ-წვეთად მოჟონავს, გოგონას ქარისაგან აძენძილი ეკალბარდები ტანზე შემოეხვია და თვალთ დაუბნელდა.

ანბანთგოგონა ჩიტების გალობამ გამოაფხიზლა. თვალები მოიფშვნიტა... ვარდის ბუჩქზე ბულბული ჩამოჯდა, ანბანთგოგონას დობილ-ძმობილებს მზის ლოცვა უგალობა.

თეა დედანაშვილი
ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე

75 წლის მარად

ჩემი სახლი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი 76-ე გაზაფხულს ძველებური სიამაყითა და ცისარტყელასავით ათასფერადი სურვილებითა და საქმიანი სავსე ჩანთით შეხვდა. მეამაყება, რომ ამ სახლის ხელმძღვანელი ვარ. წარმატებები, ულევი სიხარული და ბედნიერი მომავალი მინდა ვუსურვო ჩემს აღსაზრდელებსა და იმ პედაგოგებს, რომლებიც კეთილსინდისიერად ემსახურებიან მომავალ თაობას. მშობლებს, რომლებიც გვერდით გვიდგანან და ჩვენთან ერთად უდიდეს სამსახურს უწევენ მომავალი თაობის აღზრდას.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მუშაობის მიზანი განსაზღვრავს ბავშვთა უფლებების მხარდაჭერის არსს, ფორმებსა და ზოგად უფლებებს. ბავშვთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მხარდაჭერა გულისხმობს თვითრეალიზაციასა და საზოგადოებაში დამკვიდრებას. ამიტომ სახლის მუშაობის მთავარი მიზანი მომავალი თაობის ზნეობრივი, შემოქმედებითი, მხატვრული, ინტელექტუალური აღზრდაა. თავისუფალი დროის სწორი, მიზანმიმართული ორგანიზებაა. პედაგოგთა, მშობელთა და საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანების საფუძველზე, ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის, განსხვავებული უნარის მქონე ბავშვების ინტეგრირება, მოქალაქეობრივი, პატრიოტული ცნობიერების, შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი მრავალპროფილიანი ორგანიზაციაა, სადაც სხვადასხვა ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებისათვის ყველა პირობაა შექმნილი, გაიღრმაონ სკოლაში მიღებული ცოდნა. არსებულ წრეებში უმეტესად სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის შვილებია გაერთიანებული.

სახლს გააჩნია კვალიფიციური კადრები, თანამშრომლებს შორის დადებითი კოლეგიალური დამოკიდებულებაა, გაგვაჩნია საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოცდილება, კარგი კომუნიკაცია მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან. სახლში მუშაობს საინიციატივო ჯგუფი, რომლის მიზანია სტრატეგიული გეგმის შემუშავება, გაგვაჩნია გუნდური მუშაობის გამოცდილება.

თითოეული პედაგოგის სამუშაო გეგმის მთავარი მიზანი სოციალურად დაუცველ ბავშვებთან და შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე პირთა ცენტრთან მუშაობას ეთმობა.

ვაცნობიერებთ, რომ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი პრობლემაა გადაუწყვეტელი, ამიტომ ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი არის სოციალურად შეჭირვებული ოჯახის შვილებისათვის ხელმისაწვდომი და მაღალხარისხიანი განათლების მიცემა, პრობლემა, რომელიც ეკონომიურ ხასიათს ატარებს.

ჩვენ არ უნდა დავუშვათ ეს მოტივაცია, რომ ბავშვები ქუჩაში გავიდნენ, ჩვენ უნდა დავუშვათ ის, რომ თავისუფალი დრო მათ ჯანსაღი ცხოვრების წესის გამოყენებით აითვისონ.

მაია ნიკოლაშვილი
მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის
დირექტორი

ჩემი პირველი ნათესაყუდელი

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მიმართ მე განსაკუთრებული სიმპატიები მაქვს და არა მარტო იმის გამო, რომ იგი ერთ-ერთი სერიოზული საგანმანათლებლო კერაა, სადაც ჩვენს მოსწავლეებს თავიანთი უნარების განვითარების კარგი შესაძლებლობები ეძლევა. ამას გარდა, ეს ის ადგილია, საიდანაც წლების წინ ჩემი პროფესიული კარიერა დაიწყო და მე დღემდე არ მავიწყდება დიდი მონდომებითა და რუდუნებით აღბეჭდილი, შემოქმედებითად სისხლსავსე და საინტერესო დღეები, რომლითაც მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლი არსებობდა და დღესაც არსებობს.

ვუსურვებ მის კოლექტივს პროფესიულ წარმატებებს, ახალ-ახალ მიღწევებს და რაც მთავარია, ნიჭიერი და უნარიანი ახალგაზრდების სიმრავლეს.

მაია თავართქილაძე
ოზურგეთის №1 საჯარო
სკოლის დირექტორი

ის ლამაზი დღეები

ჩემი სახლი, ჩემი მეორე სკოლა და ოჯახი, სახლი, სადაც მუდამ მიმეჩქარებოდა, მიხაროდა, იქ ახალ-ახალი შეძენილი მეგობრები მხვდებოდნენ, შოთიკო, ნანუკა, ქეთი, მარი, დამიანე, აუ როგორ მომენატრეთ, ჩვენ ახლა ყველა სტუდენტები ვართ და სიამოვნებით ვიხსენებთ ამ განვლილ წლებს. ოზურგეთლები რუსთაველის ქუჩაზე, რომ ჩავივლით და ეროვნულ სასახლეს ჩავუვლით, გვახსენდება ჩვენი პატარა სახლი, მოკრძალებული, პატარა, სიხარულითა და სიყვარულით სავსე.

75 წელი პატარა დრო არ არის, ეს სახლი დიდი და შინაარსიანი ისტორიის მქონეა. მე ვიმედოვნებ, რომ ის არასოდეს შეწყვეტს კეთილი საქმის კეთებას.

კიდევ ერთხელ ვულოცავ სახლის ყველა თანამშრომელს იუბილეს და მადლობას ვუხდი ღირსეული ახალგაზრდების აღზრდაში შეტანილი წვლილისთვის.

ნინო ბურჭულაძე
სახლის ყოფილი პრეზიდენტი
სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი

ტრიუმფით მომავლის გზაზე

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში უკვე მეორე წელია მუშაობს ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი "დილა", ხელმძღვანელი: ახალგაზრდა, უნიჭიერესი სპეციალისტი, ლოტბარი ლაშა ჩხარტიშვილი. ანსამბლი ჩამოყალიბების დღიდან სერიოზულ და მაღალპროფესიულ დონეზე შეუდგა მუშაობას, შედეგმაც არ დააყოვნა. ისინი მრავალი ფესტივალის მონაწილენი გახდნენ. მიმდინარე წლის მარტში კი, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდულ საგუნდო კოლექტივების ეროვნულ კონკურსში 184 შემსრულებელთა შორის დასახელდა და შემდეგ ეტაპზე გადავიდა, სადაც გამარჯვებულად გამოვლინდა 5 კოლექტივი, ანსამბლი "დილა" პირველი ადგილის მფლობელი გახდა, მას კონკურსის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ვულოცავთ ანსამბლს დიდ წარმატებას.

ქეთევან გუბელიძე,
მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის კოორდინატორი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორია

ოზურგეთის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი ოდითგანვე ემსახურებოდა მომავალი თაობის ზნეობრივ, შემოქმედებით და ინტელექტუალურ აღზრდას. თავისი არსებობის მანძილზე სახლში არა-ერთი გამოჩენილი ადამიანი თუ საზოგადო მოღვაწე აღზრდილა. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეებისათვის სახლი ყოველთვის იძლეოდა რეალიზებისა და საკუთარი ნიჭის გამოვლენის საშუალებას. სახ-ლში არსებული წრეების მეშვეობით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები იღრმავებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას. ხელმისაწვდომობის გამო წრეებში უმეტესად გაერთიანებულია სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის შვილები, ესაა ის ერთადერთი ორგანიზაცია, სადაც ასეთი ოჯახის შვილები ახდენენ თვითრეალიზაციას. ხდება მათი ინტეგრაცია საზოგადოებასთან.

სახლის ისტორია 75 წელს ითვლის. 1939 წლის სექტემბრიდან სახლის მუშაობის შესახებ მასალებს ვეცნობით ცნობილი საზოგადო მოღვაწის თეატრსა და ბავშვებზე უზომოდ შეყვარებული, სახლის ერთგული თანამშრომლის მიხეილ გოლიაძის არქივებიდან.

2011 წელს, ხანძრის შედეგად, განადგურდა სახლის ყველა იურიდიული და მხატვრული შემოქმედებითი მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია, ისტორია, ფოტომასალები, აფიშები და თვალსაჩინოებები. ჩვენს მიერ ხელახლა მოძიებული მასალით სახლის ისტორიის ნაწილობრივ აღდგენა მოხდა.

მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (ადრე პიონერთა სახლი) 1939 წელს აბაშიძის ქუჩა №23 მდებარე კერძო სახლის პირველ სართულზე გახსნილა. ამ პერიოდში დაიწყო მუშაობა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა მ. გოლიაძემ. სახლი წარმატებით ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდას. 1948 წლიდან სახლი გადადის სხვა შენობის სამ ოთახში კერძოდ ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე კულტურის სახლში.

1939-1951 წწ. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს ხელმძღვანელობდნენ: **მარიამ ტრაპაიძე, ვასო ბეშიტაშვილი, ვალია მამრიკაშვილი, ნინა ზაქარიაძე.**

1951 წელს, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორის ქ-ნ **ნინა ზაქარიაძის** და **მიხეილ გოლიაძის** ინიციატივით, შეიქმნა ბავშვთა დრამატული წრე, რომელიც 55 წელი წარმატებით ფუნქციონირებდა.

ბავშვთა თეატრთან თანამშრომლობდნენ სახელმწიფო თეატრში მოღვაწე ცნობილი მოღვაწეები: რეჟისორები გურამ აბესაძე, ლერი პაქსაშვილი, მხატვრები მამია მალაზონია, მამია თუთაიშვილი, ქორეოგრაფი ვაჟა მდინარაძე, მუსიკალურად სპექტაკლებს აფორმებდნენ ვასილ ქუთათელაძე, ჯემალ ჭელიძე.

სახლში ქორეოგრაფებად მიწვეულნი იყვნენ საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი სალუქვაძე და მისი მეუღლე თამარ სალუქვაძე, მათი ხელმძღვანელობით შეიქმნა ცეკვის შესანიშნავი ანსამბლი "ენძელა". ამავე პერიოდში სახლს მრავალი შემოქმედებითი წარმატებები ჰქონდა. მზადდებოდა საბავშვო სპექტაკლები, წარმატებით მუშაობდა ფოტო ლაბორატორია. სახლმა შეიძინა კინო აპარატურა. ამ პერიოდში სახლს ხელმძღვანელობდა გურამ კუნჭულია, სამხატვრო ხელმძღვანელი კი მიხეილ გოლიაძე იყო.

სხვადასხვა დროს სახლის დირექტორები იყვნენ: **ლინდა ზაქარიაძე, მიხეილ გოლიაძე, გურამ კუნჭულია, გულსუნდა მახარაძე, ზაირა ბილიხოძე.**

1980 წელს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შენობა, რომელიც მდებარეობდა ჯაფარიძის №9- ში დაანგრიეს იმ მოტივით, რომ შენობა არ პასუხობდა თანამედროვე სტანდარტებს. უნდა აეგოთ თანამედროვე ტიპის შენობა 500 კაციანი დარბაზით, დამზადდა შენობის მაკეტი, შეირჩა ადგილი (ძვ. ქალაქის მერიის წინ) ჩაისხა ფუნდამენტი, და შემდეგ მშენებლობა დაკონსერვდა. ბოლოს მოხდა ფუნდამენის დემონტაჟი. თავდაპირველად სახლი №2 საჯარო სკოლამ შეიხიზნა. სკოლის კლუბში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა. იყო მჭიდრო კავშირი რაიონის საშუალო სკოლებთან, სკოლის გარეშე მუშაობას ძალიან დიდი ყურადღება ეთმობოდა. იგეგმებოდა ერთობლივი ღონისძიებები. ამ პერიოდში სახლის დირექ-

ტორი **მანანა მენაბდე** იყო. ამ პერიოდს უკავშირდება (1974 წელი) ვაჟთა ვოკალური ანსამბლის "კრიმანჭულის" ჩამოყალიბება, რომელსაც ხელმძღვანელობდა გურული სიმღერების უბადლო მცოდნე, არაჩვეულებრივი პიროვნება, ცნობილი ლოტბარი, თავის საქმეზე შეყვარებული ბატონი მიხეილ შავიშვილი. სახლს ჰყავდა ძლიერი მხატვრული კოლექტივები: გოგონათა ვოკალური ანსამბლი " ნაკადული", რომელსაც ქალბატონი ეთერ პავლიაშვილი ხელმძღვანელობდა. ქორეოგრაფიული ანსამბლი "ფარცა", ხელმძღვანელი ცნობილი ქორეოგრაფი, მრავალი ფესტივალის ლაურეატი ანზორ გვარამიძე. მათი დიდი მონდომებით და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით არაერთი წარმატება იქნა მიღწეული, ისინი მიწვეულები იყვნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში: მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში საიდანაც ყოველთვის გამარჯვებულნი ბრუნდებოდნენ.

გვ-5

ჩაუქრობელი კერა

აღსანიშნავია, მათი ჩაწერა ოსტანკინოში და საახალწლოდ მათი გამოსვლა კრემლის სვეტებიან დარბაზში.

1987 წელს სახლის დირექტორად დაინიშნა ქალბატონი ლალა ნაკაიძე. ამ პერიოდში სახლმა რამდენიმეჯერ შეიცვალა ადგილმდებარეობა. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა სახლის წარმატებით მუშაობას, ფართოვდება მუშაობის არეალი, აქტიურად მუშაობს ნორჩ შემოქმედთა წრე, რომელსაც აწ გარდაცვლილი იზა ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობდა. საფუძველი ჩაეყარა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ხელნაწერი ჟურნალისა და შემოქმედებითი კლუბის "ია-იების" შექმნას, რომელიც იმ პერიოდში სახლის სავიზიტო ბარათად იქცა. ტარდებოდა კონკურსები, გამოფენები, სხვადასხვა რაიონული ღონისძიებები. ამავე პერიოდში საფუძველი ჩაეყარა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის კიდევ ერთ ტრადიციულ ღონისძიებას "ზღაპრის კვირეულის" ჩატარებას.

1999-2001 წლებში სახლის დირექტორად ინიშნება ახალგაზრდა, ენერგიული შესანიშნავი პიროვნება ირინა ბილიხოძე. ამ პერიოდში სახლი განთავსებული იყო განათლების განყოფილების ერთ ოთახში. სამუშაო პირობების არქონის გამო ზემდგომ ორგანოებთან შეთანხმებით გაიშალა მუშაობა სკოლებში. ტარდებოდა ერთობლივი ღონისძიებები. სახლში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ და თავის ღვაწლით ემსახურებოდნენ მომავალი თაობის აღზრდას ცნობილი პიროვნებები: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში ქნ. ოლია შათირიშვილი, ცნობილი მსახიობები ბელა კიკვაძე, ზაირა თოთიბაძე, ვახო ჩხარტიშვილი, აღ. წუწუნავას სახელობის სახემწიფო თეატრის რეჟისორები: ვასილ ჩიგოგიძე, ზაზა ჯინჭარაძე, ოთარ კუტალაძე, იური ჯიჯიეშვილი, ურთიერთ თანამშრომლობის ტრადიცია სახლის დაარსებიდან მოდის.

2001 წელს სახლის დირექტორად დაინიშნა და დღემდე აქტიურად მუშაობს ქნ. მაია ნიკოლაშვილი. მისი დაუღალავი შრომითა და მცდელობით 2005 წელს სახლს უზურფრუქტის წესით გადმოეცა 9 აპრილის ქუჩა №10-ში მდებარე შენობა. შენობა 7 ოთახით მთლიანად აკმაყოფილებდა სახლის მოთხოვნებს, თუმცა დარბაზი მაინც არ იყო, რაც გარკვეულწილად ხელს უშლიდა მასობრივი ღონისძიების ჩატარებას.

2009 წელს შენობაში შემოასახლეს კულტურის ცენტრი. ჩამოგვართვეს შენობის ნაწილი.

2011 წლის 5 მარტს შენობაში გაჩნდა ხანძარი, რის გამოც მთლიანად განადგურდა ორივე ორგანიზაციის ყველანაირი დოკუმენტაცია.

ამჟამად სახლი განთავსებულია ვიქტორ დოლიძის ქუჩის №10-ში მდებარე შენობაში. 5 ოთახი, რა თქმა უნდა, არაა საკმარისი, მაგრამ ძლიერი სურვილი და შემართება სასურველი გარემო შევუქმნათ ბავშვებს, გვაძლევს იმის ოპტიმიზმს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი კვლავაც იქნება მომავალი თაობის სულიერი და ზნეობრივი აღზრდის სამსახურში

მარინა გოგიტიძე,
დირექტორის მოადგილე
ადმინისტრაციის დარგში

შენი დიადი ძალა ვიწამე ადამიანო!... ზნემაღალო... სულით ძლიერო... დიდება შენდა ადამიანო!

საოცარი დატვირთვა ჰქონდა ჩემში ამ სიტყვებს სამი ათეული წლის წინათ, იქ სადაც ყოველთვის მივიჩქაროდით, რამეთუ გვქონდა ტკბილი, ოჯახური კერა, სადაც მუდამ იღვრებოდა სითბო, სიყვარული, იმედი, მეგობრობა... "ია-იები"...

ეს იყო მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. სახლი, სადაც მე ჩემს მეუღლესთან და ჩემს მეგობრებთან ერთად გავატარე ჩემი ბავშვობის ულამაზესი წლები. მას შემდეგ როგორც აღვნიშნე სამმა ათეულმა წელმა განვლო... ბევრი რამ შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ არ წაშლილა იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც სათუთად, ლამაზი ქართულით, სიყვარულით ანთებული სანთლებით მიგვიკვალავდნენ გზას. ბატონი მიშა გოლიაძე, ქალბატონი ლალა ნაკაიძე, მარინე გოგიტიძე, მაია ნიკოლაშვილი, ქეთევან გუგუნავა, ლეილა კოსტავა, ქეთევან გუბელიძე, მედეა ნაკაიძე და ჩემი დიდი ტკივილი და ცრემლი - იზა ჩხარტიშვილი. თითქოს ზარები ჩამორეკეს ციდან და ისევ მესმის იზას ნაცნობი ხმა: "როცა ყვავილები გაგიღიმებენ, ეს ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის... როცა მზის სხივი მოგეფერებათ, ის ჩვენ ვართ"... ისევ გრძელდება უგულო ამინდები და "ხეებს ისევ ძველებურად ჩამოსტირის სახე", ისევ უშენოდ მიდიან დღეები ჩვენო საყვარელო სულის მასწავლებელო.

როგორც წლების წინ ვხედავდით, დღესაც ისევ ვხედავთ და გვესმის ბავშვობის სტრიქონები. ისევ ისე "ცელქობს წვიმა და იცინის", ისევ ისე "ჩამოდის ღმერთი ფეხშიშველი ჩვენს ეზოში", ისევ ისე "შემოსძახის ღაბუა ჩიტი თავწითელა ნეკერჩხალს", კვლავ მოსჩანს "ქუჩის ბოლოს გაცრეცილი კაბის ლანდი" და "ბაბუაწვერას ფიფქებივით მიჰქრის ცხოვრება", კვლავაც "ლაღად სეირნობს მეხსიერების გრძელ დერეფნებში შენი სახელი"...

საოცარია, რას არ ინატრებს ბავშვი, წლები გადის ისევ აქტიურად შევიგრძნობ მარიკას ლექსის სიტყვებს:

"... გულო სიყვარული მომეცი
ჩემი ხალხისთვის მინდა..."

დიახ ჩვენ ხალხის სიყვარული და ერთგულება გვასწავლა იმ წლებმა, იმ ადამიანებმა...

ჩემს საყვარელ და სამახსოვრო ნივთებს ამშვენებს ერთი გაცრეცილი ფურცელი, რომელსაც დიპლომი ქვია და იზა ჩხარტიშვილმა გადმოგვცა ბოლო ზარზე, რომ "ია-იებში" გავიარე ვაჟკაცობის, რაინდობის, ერთგულებისა და სიყვარულის საუკეთესო წლები.

დეკანოზი
ბასილი (კვირჩილაძე)

ჩვენი დღევანდელი დღე



1939 წელს, კარალიოკების ბაღში ჩასმულ პატარა ფინურ სახლში პიონერთა და მოსწავლეთა სახლი გახსნეს, ბავშვთა და მოზარდთა თავისუფალი დროის შემოქმედებითად და ინტელექტუალურად გამოყენების მიზნით. ეზო და შემოგარენიც მოსწავლეთა განკარგულებაში იყო და ბავშვები უვლიდნენ.

75 წელი გავიდა მას შემდეგ...

75 ლამაზი და შემოქმედებითი თაობა აღზარდა, თავიდან პიონერთა და მოსწავლეთა სახლმა და შემდეგ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლმა, თავის უბეში.

ძველ თაობას ემახსოვრება მიხეილ გოლიაძის "ჭინჭრაქა", "ნაცარქექია" და "სამი გოჭი".

ზაირა თოთიბაძის შემოქმედებითი კლუბის მიერ გამოშვებული ალმანახი "ნედლი სალამურები".

შემოქმედებითი ანსამბლები "კრიმანჭული" და "ფარცა" ხელმძღვანელი მიხეილ შავიშვილი და ანზორ გვარამაძე.

გადიოდა წლები, იცვლებოდა თაობები, მაგრამ არასოდეს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს ყურადღება არ მოუდუნებია მოსწავლეთა თავისუფალი აზროვნების, შემოქმედებითი ნიჭის რეალიზების ხელშეწყობაში. შემოქმედებითი კლუბების მუშაობა, მთელი წლის განმავლობაში, ემსახურება მოსწავლეებს განუვითაროს მხატვრულ-ლიტერატურული გემოვნება, შემოქმედებითი უნარი, წაკითხული მასალის სწორად გააზრება, აქედან გამომდინარე საკუთარი აზრის ნათლად გადმოცემის კულტურა.

რა თქმა უნდა, მუშაობას აგრძელებს ვოკალური ანსამბლი "კრიმანჭული", ფოლკლორული ანსამბლი "დილა", ხალხურ საკრავთა ანსამბლი "მარულა", რომლებიც ყოველწლიურად მონაწილეობენ საბავშვო ფესტივალებზე და სხვადასხვა კონკურსებში. ასევე მუშაობს გოგონათა ანსამბლი "შარმი", უმცროსკლასელთა ანსამბლი "ენკი-ბენკი".

სახლში მუშაობს 23 დასახელების წრე და კლუბი თითოეულს გააჩნია თავისი სამუშაო გეგმა-პროგრამა, რომლებიც მორგებულია მათში გაწევრიანებული მოსწავლეების ინტერესებზე.

მუშაობს სადისკუსიო კლუბი, სადაც განიხილება პრობლემური საკითხები. მიმდინარეობს ჯანსაღი დებატები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ასევე ტარდება თემატური ღონისძიებები, როგორებიცაა: "რას ფიქრობს ბავშვი?", "მოზარდი, ოჯახი და საზოგადოება", "ოჯახი და ტრადიციები".

ინტელექტუალური კლუბი "მეტიდა" ახორციელებს ორ პროექტს: უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის - "რა? სად? როდის?" და უმცროსკლასელთათვის - "გონიერი". პროექტში ჩართულნი არიან მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების შესაბამისი ასაკის მოსწავლეები. გამარჯვებული სკოლები და მოსწავლეები ჯილდოვდებიან სპეციალური სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

სახლის მიერ განხორციელდა პროექტი "ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული დევს" - მხიარულ სტარტებში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის 16 საჯარო სკოლა, რომელიც ჩატარდა ტურებად, მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრში.

პერიოდულად ტარდება სალონური ღონისძიებები: შეხვედრა მუნიციპალიტეტის პირველ პირებთან ასევე, გაცოცხლებული IX საუკუნე-"მშვენიერება ნათელია ზეცით მოსული", საქართველოს დიდი ათეული, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მთელი საქართველოს მამა - ექვთიმე თაყაიშვილი. შეხვედრა მუნიციპალიტეტის გამორჩეულ ადამიანებთან-თემურ მარშანიშვილი და სხვა მრავალი.

წლევანდელ წლამდე მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი ატარებდა მუნიციპალურ ბავშვთა საახალწლო კარნავალს და ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას სახელმწიფო თეატრში. სახლი განსაკუთრებულ მუშაობას ეწევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრთან. ტარდება საქველმოქმედო კონცერტები. წრის წევრთა მიერ შეგროვებული იქნა წიგნები, ტანსაცმელი და პირადი მოხმარების ნივთები, რომელიც გადაეცა ცენტრს. ასევე საქველმოქმედო კონცერტები ჩატარდა "ხანდაზმულთა სახლში".

ყოველწლიურად ტარდება სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია, წელს მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის 23 საჯარო სკოლამ. 102 ნამუშევარი გაიგზავნა თბილისის ეროვნულ სასახლეში. რომელთანაც სახლი მჭიდროდ თანამშრომლობს. პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა 7-მა ნამუშევარმა. გამარჯვებულები გამოძახებულნი არიან თბილისში ნაშრომების დაცვაზე.

წლების მანძილზე სახლი ატარებდა მოსწავლეთა თვითშემოქმედებით ოლიმპიადას, "ზღაპრის კვირეულს".

სახლი უშვებდა გაზეთ "ანთილიოსს" კვარტალურად, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში უსახსრობის გამო გაზეთის გამოშვება შეწყდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სახლის საზაფხულო მუშაობა. ზაფხულში, ადგილზე დარჩენილი ბავშვებისათვის ჩვენს ბაზაზე გაიხსნა საზაფხულო ბანაკი ე.წ. "ფორპოსტი", რომელიც შარშან მშობელთა მოთხოვნების საფუძველზე აღდგა. ბანაკი ემსახურებოდა მუნიციპალიტეტის მოსამსახურე პერსონალთა შვილებს.

მინდა სიამაყით ვთქვა, რომ ჩვენ თვალმოუხუჭავად ვდგავართ მოზარდთა ეთიკურ-ესთეტიკური და შემოქმედებითი აღზრდის სადარაჯოზე, ყოველდღიურად ვახალისებთ და ვხვეწთ პროგრამებს, რომ ის ბავშვებისათვის ერთფეროვანი და უინტერესო არ აღმოჩნდეს. განსაკუთრებით ბევრის მომცველი და ბევრის მიმცემია ჩვენი მუშაობა სოციალურად შეჭირვებული ბავშვებისათვის.

ლეილა კოსტავა
სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“

დასაწყისი იხ. №№9-14



იოჰან კემპლერი (1571-1630). პოლონელი ასტრონომი. 1619 წელს გამოაქვეყნა „მსოფლიოს ჰარმონია“. ის შეიცავს პლანეტური მოძრაობის მესამე კანონს.

ერთ დღეს კეპლერმა „ახალი სხივი დაინახა“ და აღმოაჩინა, რომ პლანეტების ორბიტები ელიფსს წარმოადგენს.

1609 წელს კეპლერმა გამოაქვეყნა მისი აღმოჩენები წიგნში „ ახალი ასტრონომია“.

კეპლერის მესამე კანონი გვეუბნება, რომ პლანეტის პერიოდი კვადრატში (დრო, რომელიც საჭიროა ერთი მთლიანი ბრუნვისთვის, მაგალითად, წელიწადი დედამიწისთვის) უდრის მანძილს პლანეტიდან მზემდე კუბში აყვანილს (ასტრონომიული ციფრებით). ამის შედეგად შესაძლებელი გახდა პლანეტამდე მანძილის გამოთვლა, მხოლოდ მათ ბრუნვაზე დაკვირვებით.

ასეთი დასკვნის გამოტანამ ხელი შეუწყო მომავალში გრავიტაციის შესახებ ისააკ ნიუტონის თეორიის ჩამოყალიბებას.

უილიამ ჰარვი (1578-1657). ჰარვიმ თანამედროვე არენაზე დამაჯერებლად შემოიტანა მნიშვნელოვანი თეორია ბიოლოგიაში. მან საკუთარი პოსტულატებითა და მტკიცებულებებით განამტკიცა თეორია, რომ სისხლის ცირკულაცია ხდება გულის საშუალებით, რომელიც თავის მხრივ ბიოლოგიურ ტუმბოს წარმოადგენს. ჰარვი იყო პირველი თავისი დაკვირვების რაციონალური, თანამედროვე მეცნიერული მიდგომით ბიოლოგიისადმი. აყალიბებდა იმ მეთოდოლოგიის

საფუძველს, რაც დღეს არის მიღებული. მუდმივად განმეორებადი მოდელის წყალობით, ჰარვიმ მიაღწია დიდ წარმატებას, რომელმაც მას პოპულარობა მოუხვეჭა და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

ჰარვის აზრით, სისხლი არ გამოიყენებოდა ისე, როგორც ამას გალენი ხსნიდა, არამედ მიმოიქცეოდა ორგანიზმში.

იოჰან ჰელმონტი (1579-1644). ჰელმონტმა შემოიღო სიტყვა „გაზი“, რომელიც ბერძნული „ქაოსის“ ფლემანდიური გამოთქმიდან მომდინარეობს. ან თავის

ექსპერიმენტებში შეძლო, შეემჩნია გაზის არსებობა. ქიმიკოსებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი გაზის აღმოჩენა იყო. იგი მიხვდა, რომ გაცხელებისას სხვადასხვა ელემენტი გამოყოფდა სხვადასხვა სახის გაზებს. შეძლო მათი იდენტიფიცირება და დაარქვა სახელები: ნახშირორჟანგი, ნახშირის მონოქსიდი, აზოტის ოქსიდი და მეთანი. ეს გაზები დღეისათვის ცნობილია, როგორც ნახშირორჟაგი.

მოამზადა

გურამ ცერცვაძემ

(გაგრძელება იქნება.)

იური ხომერიკის ხსოვნის ტურნირზე

სოფ. შრომაში გაიმართა ცნობილი მოჭიდავის იური ხომერიკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც ბათუმის, ფოთის, ლანჩხუთის, ოზურგეთის საუკეთესო მოჭიდავეები მონაწილეობდნენ.

ტურნირის გამარჯვებულები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ:

23 კგ. ნიკა ბენიძე (ბათუმი); 26 კგ. მალხაზ ხელაია (ფოთი); 29 კგ. ნოდარ გიორგაძე (ოზურგეთი, „ფალავანი“); 32 კგ. მანუჩარ გიორგაძე (ოზურგეთი); 35 კგ. გიორგი თოხაძე (ოზურგეთი, „ფალავანი“); 38 კგ. დიეგო ჩხიკვაძე (ბათუმი); 42 კგ. თამაზ ოთხმეზური (ოზურგეთი, „ფალავანი“); 47 კგ. საბა მამალაძე (ოზურგეთის სპორტსკოლა); 53 კგ. კახა ფუტკარაძე (შრომა); 59 კგ. გოგა ხარაიშვილი (ფოთი); 66 კგ. ცოტნე ცინცაძე (ოზურგეთი, „ფალავანი“); 73 კგ. გიგლა ცინარიძე (შრომა); 85 კგ. გიორგი ზოიძე (ლანჩხუთი); 100 კგ. კუკური ბარბაქაძე.

სკანვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

№14-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ფრანც შუბერტი; მდინარე აფრიკაში — ნილოსი; ქართული ცეკვა — ფარცა; ბამბის თხელი ქსოვილი — მარლა; ... ერისთავი — ნერსე; პატარა თითი — ნეკი; ფანდი — ოინი; ხალხურ საკრავთა ანსამბლი — საზანდარი; ქართული ზღაპრის პერსონაჟი — დევი; ბილიარდის ჯოხი — კია; ხელუხლებელი — თაზი; ერთგვარი ქუდი — ცილინდრი; ძვირფასბეწვიანი ცხოველი — წავი; სამგლოვიარო სიმღერა (რომ.) — ნენია; ბელგიური ნაგაზი — ტერვიურენსი; ძაღლის სახეობა — შარპეი; კავშირი — და; კომპიუტერული თამაში — მარიო; ბოსტნეულის ნერგი — ჩითილი; ლამპიონი — ჩინარი; ღობეზე გადასავლელი — ალაგე; ქართული მხატვრული ფილმი — ჩიორა; დოკუმენტის ორიგინალი — დედანი; დეკორატიული მცენარე — პალმა; მწყრის ბარტყი — ჩოჩორი; მავთული — სინა; დედამიშვილი — ძმა; თევზის სახეობა — პირანია; ... ჩვენი არსობისა — პური; ძილი — რული; პირველი პირის ნაცვალსახელი — მე; აუღებელი მოწოდება ჩოგბურთში — ეისი.

იყო და არა.....

ლამარა სიმონიშვილის ხსოვნას

ყველამ ვიცით როგორ იწყება და გრძელდება ზღაპარი!

რატომ გამახსენდა ზღაპარი ახლა, როცა შენზე ტკივილიან სტრიქონებს ვწერ?!

ალბათ, იმიტომ, შენ თავად გავდი ლამაზ ზღაპარს.

ლამარა სიმონიშვილი–ბევრისგან ბევრისგან თუ ყველასგან გამორჩეული! –მაინც რითი? – გარეგნობით, სიარულით, გულწრფელი ღიმილით, თვალსა და გულში ჩასახლებული სითბოთი, კეთილშობილებით, მოზომილი სიტყვა-პასუხით!

დიახ! -ასეთს გიცნობდა ჩვენი რაიონი, შენი მშობლიური შემოქმედი, რედაქციის მუშაკები.

ქალი -სუფთა ფიქრით, განწყობით, მოქმედებით!

რა დამავიწყებს, შენ და ელგუჯა შევარდნაძეს, როგორ გინდოდათ რედაქციაში გამოთავისუფლებელი შტატიანი მეშაკის ადგილი მე დამეკავებინა ....

თურმე, სხვისთვის იყო ის ადგილი გამიზნული!

მაგრამ „რადგან ყველაფერს თავისი დრო და ჟამი აქვს ამ ცისქვეშეთში“...

ეს დროც დამიდგა– თბილისში სამუშაოდ გადავიდა ჩვენი გაზეთის მუშაკი, ცნობილი ჟურნალისტი გიზო ჭელიძე (ღმერთმა ნათელში ამყოფოს.)

ჩემთვის, თქვენამდე მოსასვლელი გზა გაიხნა და...

გიზოს ადგილას შენ გადაგიყვანეს. მე შენ უნდა შემეცვალე! შემოვედი შენს სამუშაო ოთახში და სკამიდან წამოდექი.

–აი, შენ სკამი და მაგიდა! დაჯექი და იმუშავე, რა დამავიწყებს იმ დროს –1966 წლის 6მარტი!

კორექტორად დამნიშნეს. რედაქციაში ეს ყველაზე რთული სამუშაო იყო. ტექსტის ჩასწორება თავისებური ნიშნებით ხდებოდა!

გამიჭირდა!– რაღაც სულს მიხუთავდა! რედაქციიდან წასვლა გადავწყვიტე. რამდენ რჩევას მაძლევდით შენ, ელგუჯა და ვალიდა ფიფაიშვილი (ღმერთმა ნათელში გამყოფოთ); ჩემი უცნაური სურვილით გაკვირვებულმა რედაქტორმა თათბირი მოიწვია.

– დარჩები! – ასეთი იყო განუმეორებელი აფთონ გურგენიძის საბოლაო განაჩენი !

დავრჩი და...

დავიბენი, როცა პირველად, ერთ-ერთ ღონისძიებაზე ჟურნალისტი ეთერ ქადეიშვილიო! – ასე რომ მომმართეს.

მე რომ რედაქციის მუშაკი გავმხდარიყავი და ჟურნალისტის საპატიო სახელი რომ მეტარებინა, ამისთვის გამოკვეთილი სიტყვა თქვეს პარტიის რაიკომის მესამე მდივანმა ნოდარ მდინარაძემ, მელექედურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შოთა ბაბილოძემ, ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქტორმა ჭიჭიკო ხომერიკმა და თქვენ, რედაქციის მუშაკებო, რომელთა ამ ცხოვრებიდან წასვლა, ჩემს გულს ტკივილად შერჩა!

ჩემო ლამარა, შენზე უნდა ვწერდე და ჩემზე ავლაპარაკდი, თუმცა ჩვენს რედაქციაში – „მე“ და „შენ“ – ხომ არასდროს ყოფილა! უფალმა ერთი განცდით, ლამაზი საქმის კეთების სურვილით შეგვაერთა და...

ვიცოდით ერთმანეთის ჭირი და ლხინი. შენ, შენი მოქმედებით, შეგეძლო სხვისთვის გულის ჩუქება. აი, ასეთი გულით ესათუთებოდი და თავს ევლებოდი დებს, დისშვილებს...

რედაქციაში ვესიყვარულებოდით შენს საფიცარ დისშვილებს: ლევანის და ნანას...

შენი თვალი და ხედვა მთელს რაიონს წვდებოდა – შენ ხომ რედაქციაში სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე იყავი!

შენ ძირფესვიანად იცოდი ჩვენი სოფლების კუთხე-კუნჭული, შენი საგაზეთო სტატიები ცოდნით, შინაარსით, ახლის ძიების სურვილით იყო სავსე.

რამდენი შრომისმოყვარე, გამრჯე ოჯახი, ადამიანი გააცანი მკითხველებს. რამდენი ემადლიერებოდა შენს მადლიან მარჯვენას! შენი კრიტიკული წერილები ხომ არასდროს იყო ბოღმით, ღვარძლით სავსე. თითოეული სტრიქონი სინანულით, საქმის უკეთესად კეთების სურვილით კეთდებოდა...

ასე ერთიანი განწყობით კარგახანს ვიარეთ ერთად, მაგრამ...

წლებმა თავისი თქვეს... სარედაქციო გზით ერთმანეთს დავშორდით.

გვქონდა ბევრი ლამაზი დღე – უფროსი დის მოულოდნელად გარდაცვალების დიდი განცდა... შენი ლამაზი ლევანის მოულოდნელი სიკვდილი...

მერე სარეცელს მიეჯაჭვე. შენმა დამ – ცაცამ –ანასეულში წაგიყვანა და ხუთი წელი გივლიდა!

მოვიდოდი შენთან და.... რედაქციის ყველა მუშაკს მოიკითხავდი...

უკვე აღარ მინდოდა შენი ლამაზი სახის დანახვა... მუდამ პირაღმა იწექი და ჭერს შესცქეროდი...

უკვე აღარ ხარ წუთისოფლის შვილი! შენი გარდაცვალება ცაცამ ასე შემატყობინა:

–ჩვენი ლამარა აღარაა!

მოვედი შენს ლამაზ შემოქმედში, შენს კუბოსთან თავი დავხარე...

ახლა გამოსათხოვარ წერილს გწერ და ასე საჯაროდ შენდობას გთხოვ: მე ხომ, ერთხელ, გაუაზრებლად გული გატკინე!

„იყო და არა იყო, რა“...ასე ზღაპარი იწყება, შენ ხომ თავად გავდი ლამაზ ზღაპარს, ჩემო კარგო! სანამ ვცოცხლობთ, ისინი, ვინც არ გიცნობდა, მისთვის არასდროს იქნება „არ იყო“...

შენ, იყავი და ხარ, ლამაზი ზღაპრის სადარი!

ეთერ ქადეიშვილი.

მიხეილ ჩხარტიშვილი – 90

კოლორიტ ოზურგეთელს, საუკეთესო ოჯახის მამას და ოზურგეთელთა საძმოს დიდ მეგობარს, მიხეილ ჩხარტიშვილს, 22 აპრილს 90 წელი შეუსრულდებოდა

.დაბადების დღეს გილოცავ, ძმაო
ჩვენო მიშა, დადგა შენი აპრილი.
დრომ სიყვარულს ვერარა დააკლო,
გულში მწუხარების მახვილი გვაქვს გაყრილი.
სანამ კიდევ ცოცხლები ვართ, იცოდე,
სიბერეში სულით არ დავეცემით,
ჩვენო ძმაო, შენ ურყევად იცოდე,
დავიწყებას არასდროს მიეცემი.

მეგობრების სახელით **მურმან დუნდუა.**

ოზურგეთელი ჯარისკაცები

„ჯარისკაცად იწოდება უპირველესი გენერალი და უკანასკნელი რიგითი“

წერილი I

ქაიხოსრო ბატონიშვილი

გურულ მამულიშვილთა საბრძოლო ტრადიციები შორეული წარსულიდან იწყება. ისტორიამ შემოგვინახა წინაპრების სახელები. მკვლევარები ასახელებენ გენერალ გურიელებს, გენერალ დუმბაძეებს, ნაკაშიძეებს და სხვ.

უპირველესი გურიელი გურიელების სახლიდან, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, გახლდათ გურიის მთავრის როსტომ პირველი გურიელის (1534-1564) ვაჟი ქაიხოსრო ბატონიშვილი, რომელიც სრულიად ჭაბუკი, 15-16-წლისა მონაწილეობდა სოხოისტას (გამოღმა ბასიანი) ბრძოლებში 1545 წელს.

ჭაბუკ ბატონიშვილს იხსენიებენ ვახუშტი ბატონიშვილი, ნიკო დადიანი, პროფესორი იური სიხარულიძე.

სოხოისტას ბრძოლა სისასტიკით გამოირჩეოდა, ომმა 50 ათასი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. ქართველები თავდაუზოგადავად იბრძოდნენ, მაგრამ მტრის კარგმა აღჭურვილობამ და რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა. ამ ბრძოლაში თავი დასდო ბატონიშვილმა ქაიხოსრომ. როგორც ბერი ეგნატაშვილი წერდა: „და მოკლეს ძე გურიელისა ქაიხოსრო“ (ქართლის ცხოვრება ტ. II. ვ. 499)

პიროვნულად ქაიხოსრო ბატონიშვილის მკვლელობის მოხსენიებას ორი მიზეზით ხსნიან. პირველი ის, რომ ამ ომში მონაწილეობისას ის 15-16 წლის იყო. და მეორეც, ჭაბუკი, ალბათ, მართლაც შეუპოვრად იბრძოდა.

ამ სასტიკი ომის ბრძოლის ველიდან ბატონიშვილის ცხედრის გამოტანა არ უნდა ყოფილიყო ადვილი საქმე, მაგრამ როსტომ გურიელმა ეს შეძლო.

პროფესორ იური სიხარულიძის აზრით: „იგი გურიაში ჭოროხის ხეობით დაბრუნებულა შემდეგი გზით: ოლთისი – ართვინი – ხოფა – გონიო – ბათუმი – ჩაქვი – ქაჯთა ციხე (ახლ. ციხისძირი) – ოზურგეთი. ომის გმირი ღირსეულად იგლოვეს და შემოქმედში დაკრძალეს“ (ი. სიხარულიძე, გაზეთი რაეო №4, 2008 წ.)

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი

მაყვალა ჟღენტის გახსენება

„იმქვეყნიური გწამდეს ცხოვრება,
ამქვეყნიური წარმავალია.“

... და ჩვენც, თქვენთვის დანთებული სანთლებითა და აღვლენილი ლოცვებით, გინათებთ, იმქვეყნიურ მარადიულ ცათა სასუფეველს.

უსაშველო ტკივილით, სევდითა და ცრემლებით, გადის დღეები და გვტკივა უშენობა... ჩვენთვის დაუვიწყარი ხართ, თქვენი კეთილი გულით, ალალმართალი, ყველასათვის მოსიყვარულე, შეუდარებელი დედა, მეუღლე, თავგადადებული ბებია, გამორჩეული მეგობარი. წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი უდიდესი ტკივილი და ამოუხსნელი კითხვა –რისთვის?! და რატომ?!

წახვედი ჩვენგან, მაგრამ ამქვეყნად დარჩა სახელი უსათნოესი ქალბატონი მაყვალა ჟღენტის, შეუბღალავი, მაღალი ავტორიტეტით, და გვჯერა, რომ მის ლამაზ სულს დავიწყება არ უწერია.

ნუგეში მხოლოდ ერთია –ვილოცოთ თქვენი ლამაზი სულისთვის. იწვის და

ილვენთება თქვენს სახელზე ანთებული სანთლები, ღმერთთან მაქვს ჩვენი სავედრებელი: უფალო, გევედრებით, ნათელში ამყოფე ქალბატონი **მ ა ყ ვ ა ლ ა ჟ ღ ე ნ ტ ი ს** კეთილი, ალალი და ლამაზი სული.

ლილი მახარაძე, ლამარა ყაზაიშვილი, ლია მელიქაძე-თალაკვაძისა.

ეთერ ქადეიშვილი, გულსუნდა მახარაძე, გულიკო ლომინაძე, ნუგზარ ასათიანი, თემურ მარშანიშვილი, ნინელი კალანდაძე, ნინო სალუქვაძე იუწყებიან ღვაწლმოსილი ჟურნალისტის **ლამარა სიმონიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ანასეულის საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თანაკლასელის **ციური სტურუას** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეულის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ცაცა სიმონიშვილს, რაინდი, ზაზა, ლადო სალუქვაძეებს ოჯახით, დიდებული ქალბატონის, ჟურნალისტ **ლამარა სიმონიშვილის** გარდაცვალების გამო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, გურიის რეგიონის პენსიონერთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე თანაუგრძნობენ ადელკინ კოპლატაძეს ძმისშვილის **მანანას** გარდაცვალების გამო.

პასქის ფესტივალი 2015

ოზურგეთში უკვე ტრადიციადქცეული პასქის ფესტივალი კიდევ ერთხელ გაიმართა. ფესტივალი წელსაც ბრწყინვალე შევიდეულში –14 აპრილს ჩატარდა.ორიგინალურად გაფორმებული პასქები, აღდგომასთან ასოცირებული კომპოზიციები, ხელნაკეთი ნივთები ეს მცირე ჩამონათვალია იმისა რაც წლევანდელ დღესასწაულზე შეგვეძლო გვენახა-ამოტომ ჟიურის არჩევანის გაკეთება გაუჭირდა. საბოლოოდ საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა.

პირველი ადგილი-ნამცხვრის სახლ „ტირამისუს" ერგო, ხოლო „ტირამისუს" პასქების ავტორს თამუნა ყაზაიშვილს დიპლომი გადაეცა . მეორე ადგილი დღის ცენტრმა „მომავლის სხივი" დაიკავა. მესამე ადგილი კი პირველ საჯარო სკოლას ერგო..

დაჯილდოვდნენ სხვადასხა ნომინაციებში გამარჯვებულებიც.

ფესტივალს სულ 20 მონაწილე ჰყავდა. ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრი, თოჯინების თეატრი, მარინა ჯაფარიძე, „გურია ნიუსის" „კარმიდამო ჩემი", მაია დოლიძე, გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა,

ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი, ეკატერინე ახვლედიანი, ნინო სვანაძე, მესამე საჯარო სკოლა, პირველი საჯარო სკოლა, ნამცხვრის სახლი „ტირამისუ", „ მოდერნი", „საქველმოქმედო ასოციაცია გურია", მაია თავამაიშვილი,დღის ცენტრი „მომავლის სხივი", ირინა გოგუაძე, ერკეთის დედათა მონასტერი,მარიამ ჩავლეიშვილი.

ცნობისთვის, გურიის პასქის ფესტივალი 2011 წელს დაარსდა. ფესტივალის იდეის ავტორი და განმახორციელებელი ლია კილაძეა.

„მერცხალმა" დამსახურებულად მოიპოვა სამი ქულა

ალიონი. საქართველოს ჩემპიონატის (პირველი ლიგა „ბ"ჯგუფი) ფინიშზე თითოეული მატჩის შედეგი მნიშვნელოვანია. ოზურგეთის „მერცხალის" უშუალო კონკურენტები მარნეულის „ალგეთი" და წალენჯიხის „სქური" ქულებს აგროვებენ და იბრძვიან, რომ პირველ ლიგას არ უნდა დაემშვიდობოს.

„მერცხალმა" „ბორჯომთან" საშინაო მარცხის (0:2) შემდეგ ხონში წააგო გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერთან, თერჯოლის „საპოვნელასთან" (1:3).

შეხვედრა ტყიბულის „მეშახტესთან" დიდ ინტერესს იწვევდა. წინა მატჩებისაგან განსხვავებით ოზურგეთელები უფრო გასსნილები იყვნენ და გაბედულად უტევდნენ მეტოქის კარს. თავშივე უნდა აღვნიშნო, რომ მატჩი კორექტულად ჩატარდა, რაშიც თავისი წვლილი შეიტანა ქუთაისელთა მსაჯთა ბრიგადამ (მთავარი მსაჯი, ეროვნული კატეგორიის მსაჯი გიორგი დოგრაშვილი).

შეხვედრის პირველი ნახევრის დასაწყისში მასპინძლებმა სამჯერ ზედიზედ შექმნეს საგოლე მომენტები „მეშახტის"კართან. 27-ე წუთზე ნიკა ჭკუასელი პირისპირ გავიდა სტუმრების მეკარესთან მინდია გოგიაშვილთან, მაგრამ ვერ აიღო მეტოქის კარი.

თუმცა, 30-ე წუთზე ვახტანგ ჯაყელმა ანგარიში გახსნა, 1:0. 5 წუთის შემდეგ ნიკა ჭკუასელმა ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ტაიმის დასაწყისშიც ვერ გამოიყენეს საგოლე მომენტი მასპინძლებმა, შემდეგ სტუმრებს ჰქონდათ ხელსაყრელი მომენტი ანგარიშის სხვაობის შესამცირებლად, რაც ვერ გამოიყენეს.

57-ე წუთზე ტყიბულელთა ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს ბურთი მასპინძელთა კარის ხარიხას მოხვდა, მოედანზე დაბრუნებული ბურთი ტყიბულელმა ლევან ჯიქიძემ გოლად აქცია 1:2.

59-ე წუთზე „მერცხალის" თავდამსხმელი გიგა კვერენჩხილაძე პირისპირ გავიდა „მეშახტის" მეკარესთან და მესამე გოლი გაიტანა სტუმრების კარში.

ტყიბულელებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, კარგ კონტრშეტევებს უკეთებდნე ორგანიზებას, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ირაკლი ცნობილაძე და სბა თავაძე. 62-ე წუთზე ამ უკანასკნელმა კვლავ შეამცირა ანგარიშის სხვაობა 2:3. თუმცა ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა და „მერცხალმა" მეტად საჭირო სამი ქულა მოიპოვა.

ვაზნის ევოლუცია

დრეიზეს სარჭიანი ვაზნა



1.ჭურვი, 2. შპიგელი ანუ ქვესადგამი, 3. დეტონატორი, 4. დენთი

ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების პირველ ეტაპზე ვაზნის შემადგენელი ნაწილები ცალ-ცალკე იდებოდა ლულაში ტუჩიდან. შემდგომში გადავიდნენ უნიტარულ ვაზნაზე, რომლის შემადგენელი ყველა ელემენტი ჯერ მასრაში იწყობოდა და შემდეგ ხდებოდა ასეთი ვაზნის ლულაში მოთავსება სახაზინო მხრიდან.

პირველად ზარბაზნების სახაზინო ნაწილიდან დატენვა 1428 წლიდან დაიწყეს. 1597 წელს გამოჩნდა პირველი სახაზინო გადატენვის მუშკეტები, თუმცა ასეთი იარაღის განვითარება სწრაფი ტემპით ვერ ხდებოდა, რამეთუ სახაზინო ნაწილიდან დენთის, მასრის და ა.შ შემადგენელი ნაწილების ჩადება დაკავშირებული იყო შემდეგ პრობლემასთან– ვერ უზრუნველყოფდნენ შესაბამის კომპრესიას(ობტურაციას), რაც ბალისტიკურ მაჩვენებლებს აუარესებდა...

უნიტარული ვაზნა ერთიანი(მთლიანი) საბრძოლო მასალაა, რომელიც შედგება მასრისაგან, დენთისაგან, ჭურვისაგან და დეტონატორისაგან.

სულ პირველი უნიტარული ვაზნის ნარსახეობა შეიქმნა 1808 წელს პარიზელი მეიარაღის პოლის მიერ. შემდეგ 1812 წელს შვეიცარელი მეიარაღის, იოჰან სამუელ პაულის მიერ გაკეთებული იყო ექსპერიმენტული თითბერის

ლეფორშეს ვაზნა და საკეტი

ვაზნა. 1831 წელს დემონტინის მიერ დაპატენტებული იყო ახალი სისტემის უნიტარული ვაზნა... მათ გავრცელება ვერ ჰპოვეს იარაღის საკეტის არასრულფასოვნების გამო.

მეტნაკლებად სრულყოფილი გახდა დრეიზეს 1836 წელს დამზადებული უნიტარული, მკვრივი ქაღალდის ვაზნა და საკეტი. თავისი სარჭიანი ვაზნა გამომგონებელმა ლულაში მოათავსა სახაზინო ნაწილიდან და საკეტი ისე მოაწყო, რომ მასრა გასროლის შემდგომ სავაზნიდან გამოვარდებოდა.

1832 წელს ცნობილმა მეიარაღემ ლეფორშემ შექმნა პირველი ვაზნა, რომელიც გააუმჯობესა 1840 წელს. ეს გახლდათ პირველი სრულყოფილი მეტალის სარჭიანი ვაზნა.

დრეიზეს სარჭიანი ვაზნის საკეტი



გასროლის მომენტი: 1. ვაზნა, 2. სარჭი(ნემსა), 3. დამცემი, 4. ზამბარა.

დეტონატორის(კაფსულის) მოწყობის მიხედვით უნიტარული ვაზნები იყოფიან: ლეფორშეს, სარჭიან, გვერდითი აფეთქების და ცენტრალური აფეთქების ვაზნებად.

სარჭიანი ვაზნა- ესაა უნიტარული ვაზნა, რომლის აფეთქება სარჭით ხდება. მასში დეტონატორი მდებარეობს დენთსა და ჭურვს შორის(მასრის შიგნით)გავრცელებული იყო XIX საუკუნის 30-40-იან წლებში;

მოამზადა
გელა ჩავლეშვილმა

ცენტრალური აფეთქების ვაზნა– ესაა უნიტარული ვაზნა, რომლშიც დეტონატორი გამოტანილია გარეთ და მდებარეობს მასრის ძირზე ცენტრში

7 დღის ამინდის პროგნოზი

20 აპრილი, ორშაბათი	21 აპრილი, სამშაბათი	22 აპრილი, ოთხშაბათი	23 აპრილი, ხუთშაბათი	24 აპრილი, პარასკევი	25 აპრილი, შაბათი	26 აპრილი, კვირა
წვიმა, +7+11	მზე, ღრუბელი +6+13	წვიმა, +6+13	წვიმა, +5+18	ღრუბელი, +8+10	წვიმა, +7+13	მზე, ღრუბელი +6+13